ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1442816

ნომერი: AR1244649

თარიღი : 15.08.2014

გაცემის თარიღი : 21.08.2014

გაცნობის თარიღი : 21.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 21 , (ნაკვეთი 08/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით აფრიდონიძე პ/ნ 60001042042
- თბილისი ქვიშხეთის ქ. კორ. 5 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს "წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო" კოდი: 202901832

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მმიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საჩრდილობლის მოწყობასთან ერთად ასევე ხდება სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობაც რაზედაც კიდევ ერთხელ განგიმარტავთ რომ სარდაფშ ჩასასვლელის კიბის მოწყობა უკვე განხორციელებულია, ასეთ შემთხვევაში “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდეს უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის დემონტაჟი, გადაუღეთ ახალი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და წარმოადგინეთ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი.
ამას გარდა გაითვალისწინეთ ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები ეხება სარდაფში ჩასასვლელს შესაბამისად ნომენკლატურაში მითითებილ ნომენკლატურასთანერთად დამატებით აირჩიოთ "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი - ქმედებები რეკონსტრუქცია" და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება - ქმედებები რეკონსტრუქცია" და შეავსოთ შესაბამისი ველები, რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის ცვლილების საშუალება და შესაძლებელია ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.
– რაც შეეხება წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ობიექტის განვითარებას მოგახსენებთ, რომ აღნიშნული სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად , საჭიროა დაიხვეწოს როგორც საჩრდილობლის ვიზუალი (შესაძლებელია მოეწყოს მცირე ზომის მსუბუქი კონსტრუქციის საჩრდილობელი  გადაწყვეტილი შენობასთან მისადაგებულ როგორც ფერში ასევე მასალაში), ასევე სარდაფში ჩასასვლელი კიბის (გაითვალისწინეთ სარდაფის რეკონსტრუქცია შესაძლებელი იქნება მას შემდეგ რაც თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნება ედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი).  განახლებული მონტაჟი აიტვირთოს შესაბამის ველში გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.